გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 90
2020 წლის 10 ივლისი
ქ. გორი

ქალაქ გორში, იოსებიძისა და ლერმონტოვის ქუჩებზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ქალაქ გორში, იოსებიძისა და ლერმონტოვის ქუჩებ მაცხოვრებელთა განცხადებები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ მითითებულ ქუჩებზე საჭირ ავტოტრანსპორტის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობების დაყენება, საგზ უსაფთხოებიდან და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგზაო უსაფთხოებიდან და საგზაო შემთხვევების თავიდ აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აღნიშნულ ქუჩებზე განთავსდ „ხელოვნური უსწორმასწორობები“ შესაბამისი საგზაო ნიშნებით, შემდეგ მისამართებზე:

ა) იოსებიძის ქუჩა, №42-ის მიმდებარედ, ბ) იოსებიძის ქუჩა №21-სა და №54-ს შორის, გ) იოსებიძის ქუ №33-სა და №68-ს შორის, დ) ლერმონტოვის ქუჩა №40-სა და №35ბ-ს შორის, ე) ლერმონტოვის ქუჩა №28- და № 33-ს შორის.

„ხელოვნური უსწორმასწორობა“ უნდა დამონტაჟდეს გოსტ -52 605-2005-ის შესაბამისად და ორივე მხარ განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები: ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“; ბ) 3. „სიჩქარის მაქსიმალური შეზღუდვა“ (30 კმ/სთ); გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მ პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“ შემდეგ მისამართებზე:
ა) იოსებიძის ქუჩა, №42-ის მიმდებარედ
ბ) იოსებიძის ქუჩა №21-სა და №54-ს შორის
გ) იოსებიძის ქუჩა №33-სა და №68-ს შორის
დ) ლერმონტოვის ქუჩა №40-სა და №35ბ-ს შორის
ე) ლერმონტოვის ქუჩა №28-სა და № 33-ს შორის
2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდ გოსტ-52 605-2005-ის შესაბამისად და ორივე მხარეს განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზ ნიშნები:
ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;
ბ) 3.24 „სიჩქარის მაქსიმალური შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);
გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობა სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგ ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძ